პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 21 0000576697

15/06/2021

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №575907 ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე / საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	90	120	ქართული	20	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	40	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
3	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	40	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	80	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
5	ვებპროგრამისტი (1)	მეხუთე საფეხური	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040167	115	145	ქართული	28	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
6	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1)	მეხუთე საფეხური	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	104	134	ქართული	20	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44

7	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1)	მეოთხე საფეხური	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	125	155	ქართული	28	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
8	ინფორმაციის ტექნოლოგია (1), (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	75 (1) 5 (2)	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
9	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163	75	90	ქართული	28	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).